

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წინამდებარე ცვლილება განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციაში 2005 წლის 27 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის პრაქტიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე დასკვნებითა და იმ ახალი გარემოებებით, რომელშიც მოუწევს საქმიანობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წინამდებარე კანონპროექტის მიზანია, საქართველოს კონსტიტუციაში 2005 წლის 27 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში შესაბამისი ცვლილებების ასახვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვან ნორმებს, რომელთა მიღების აუცილებლობა გამოწვეულია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლში შეტანილი ცვლილებებით.

იცვლება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია არჩევნებთან და რეფერენდუმთან დაკავშირებით. ეს გამოწვეულია საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებით, რომლის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს არჩევნების და რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობას. ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ორ მნიშვნელოვან საკითხს:

– არის თუ არა ნორმა კონსტიტუციური;

– ახდენს თუ არა ეს ნორმა გავლენას არჩევნების შედეგებზე.

ორგანული კანონს დამატებული 21² მუხლით, საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ინერგება დაახლოვებით ისეთივე პრაქტიკა, რაც ვათვალისწინებულია ევროკონვენციის 30-ე მუხლით. კერძოდ, თუ პალატაში განსახილველი საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტებისათვის სერიოზულს საკითხს შესაბამის

პალატებს უფლება აქვს, გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს თავისი იურისდიქცია გადასცეს დიდ პალატას. დაახლოებით ანალოგიურად, მოცემული საკანონმდებლო პროექტის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, თუკი იგი მივა დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ განსახილველმა სამართლებრივმა საქმემ შეიძლება წარმოჭრას საქართველოს კონსტიტუციის ნორმათა გნამარტებასთან ან/და გამოყენებასთან დაკავშირებული იშვიათი და მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა, იგი უფლებამოსილია საქმე განსახილველად გადასცეს პლენუმს. აღნიშნული ცვლილება, კანონპროექტის ავტორთა აზრით, ხელს შეუწყობს ძირითად სამართლებრივ-კონცეპტუალურ საკითხებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს კანონმდებლობა, აღნიშნული ცვლილებების შედეგად იქნეს ე.წ. “თანმხვედრი აზრის” ინსტიტუტს. აღნიშნული ინსტიტუტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლოს წევრი, “განსხვავებული აზრის” ინსტიტუტისაგან განსხვავებით, შეიძლება ეთანხმებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგს, მაგრამ განსხვავებული პოზიცია ჰქონდეს მოტივაციასთან, ან მის კონკრეტულ დებულებებთან მიმართებით, ამასთან, წევრი შეიძლება ნაწილობრივ ეთანხმებოდეს გადაწყვეტილების შედეგს. სწორედ აღნიშნული ცვლილება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ფართო შესაძლებლობას აძლევს უფრო სრულად ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული მიდგომები.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის განხილვის დროს უფლება არ ჰქონდა, თუ არ არსებობდა მეორე მხარის მოთხოვნა, თავისი ინიციატივით მოეხსნა ერთ-ერთი მხარის მიერ დასმული შეკითხვა, თუკი შეკითხვა საქმესთან არ იყო დაკავშირებული, ან თუ მხარე ბოროტად იყნებდა შეკითხვის დასმის უფლებას. ზემოაღნიშნულ კანონპროექტში ეს ხარვეზი გამოსწორებულია.

“საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლი განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომლებსაც უნდა მოიცავდეს კონსტიტუციური სარჩელი. ამ საკითხების მნიშვნელობასთან და ფორმასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებული აქვს პრაქტიკა, რაც მოსარჩელისთვის (განსაკუთრებით ეს ეხება მოქალაქეებს, რომლებიც არ სარგებლობენ სამართლებრივი დახმარებით), დიდწილად არ არის ხელშეწყობილი. შესაბამისად, მე-16 მუხლით გათვალისწინებული საკითხები ადეკვატურ ასახვას ვერ პოულობენ კონსტიტუციურ სარჩელებში. ამავე კანონის მე-18 მუხლის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე კი, მე-16 მუხლით დადგენილი მოთხოვნების

დაუცველობა სარჩელის განსახილველად არმიღების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, მაშინაც კი, როდესაც მე-16 მუხლით გათვალისწინებული ყველა საკითხია მოცემული სარჩელში, იმის გამო, რომ ინფორმაცია ქაოტურად არის განლაგებული ან სარჩელში მსჯელობა წინააღმდეგობრივია, განსაკუთრებით დიდ რესურსს მოითხოვს სარჩელში დაყენებული მოთხოვნის არსის გარკვევა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, შეიმუშაოს სარჩელის ფორმის ნიმუში, იმის ანალოგიურად, როგორც ეს მოქმედებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს საერთო სასამართლოებში.

ამ პროექტით საკონსტიტუციო სასამართლო ნერგავს კონსტიტუციური სარჩელების ე.წ. სავალდებულო "სააპლიკაციო ფორმას", რომელიც გაუადვილებს, როგორც მოსარჩელე მხარეს ლაკონურად და გასაგებად ჩამოაყალიბოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა, ისე სასამართლოს, რათა მან ზუსტად განსაზღვროს კონსტიტუციური დავის არსი და მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას და შესაბამისად, არ ადგენს მის ოდენობასა და გადახდის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი – პაველე კუბლაშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი – პაველე კუბლაშვილი